



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 21

2019 წ. „19“ _____

ქ. თბილისი

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული
ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი
გარემოებების შესწავლის, შეფასებებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის (სსიპ 201951637) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 აპრილს N 18 სხდომის ოქმის მე-5 ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1 ან ქ. თბილისი, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის ვითარებაში მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხილუაშვილი



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ¹



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ლაღანიძე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო

წევრები:

ლევან მიდოდაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო

გიორგი მახაროზიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2019

¹შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ჩარგლის ქ. N 73, თბილისი, საქართველო
ვებ-გვერდი	www.ciu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2018 წლის 14 ნოემბერი, N 88
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2024 წლის 14 ნოემბერი,

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

„შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 04 თებერვლის №98 ბრძანებით შეიქმნა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი. ჯგუფი გაეცნო შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის №6920, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციის №1647135 წერილში მითითებულ გარემოებებს და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 2018 წლის 22 დეკემბრის „შაბათის კურიერში“ გასულ შესაბამის სიუჟეტს. აღნიშნული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასების და საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით 2019 წლის 7-8 თებერვალს მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი უნივერსიტეტში. წინასწარ განსაზღვრული და უსდ-სთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, კანცლერს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლებს, დეკანებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

შესწავლილ იქნა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სტუდენტთა პირადი საქმეები, ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, საგანმანათლებლო პროგრამების წინაპირობები, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, არქივის წარმოების დებულება და სხვ.).

უნივერსიტეტის ზემოაღნიშნულ წერილში ყურადღება გამახვილებულია უნივერსიტეტის მიერ ყალბი დიპლომების გაცემაზე; ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის იმ სტანდარტების მოთხოვნათა დაკმაყოფილების საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო და კვლევითი პროცესების ორგანიზებასთან და მართვასთან, კერძოდ, უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, საგანმანათლებლო პროგრამები, უსდ-ის პერსონალი, სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები, კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა. ამასთანავე, შესწავლილ იქნა იმ აზერბაიჯანელი

სტუდენტის პირადი საქმე, ჩარიცხვისა და საზღვრის კვეთის, კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტაცია, სამაგისტრო ნაშრომი და მისი შეფასება, რომელზეც საუბარი იყო ზემოთხსენებულ სატელევიზიო სიუჟეტში. დადგინდა, რომ აზერბაიჯანელმა სტუდენტმა დიპლომის მიღებამდე შეიცვალა გვარი და უნივერსიტეტს მიმართა მაგისტრის დიპლომის ახალ გვარზე გაცემის თხოვნით, ხოლო უნივერსიტეტმა ყველა სამართლებრივი ნორმის დაცვით გასცა დიპლომი. ამდენად, საქმის წარმოების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დააფიქსირა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც პირდაპირი ან ირიბი გზით ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ ყალბი დიპლომის გაცემას. სატელევიზიო სიუჟეტში ნახსენები სამართლის პროგრამის დოქტორანტის ჩარიცხვისა და სწავლის გარემოებების შესახებ გაირკვა, რომ იგი ჩარიცხულია სადოქტორო პროგრამის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, შესრულებული აქვს სამეცნიერო კვლევითი პროექტი/ პროსპექტუსი და სასწავლო კომპონენტი - აკადემიური წერა, რომელიც დადებითად არის შეფასებული. ამჟამად აღნიშნულ დოქტორანტს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

ამავდროულად, ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის ყურადღების სფეროში მოექცა რამდენიმე გარემოება, რომლებშიც იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა მოქმედი კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კერძოდ, წერილობითი საგამოცდო სამუშაოების შენახვის ვადასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რეგულაცია, ასევე უნივერსიტეტის „მაგისტრატურის დებულების“, „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და კომისიაზე დაცვის წესის“, „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომისა და კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი არ არის სრულ შესაბამისობაში არსებულ ნორმატიულ მოთხოვნებთან. სტუდენტთა ინტერვიუების დროს დაფიქსირდა, რომ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის გზით ჩარიცხული ერთ-ერთი სტუდენტი ვერ ფლობდა სათანადო დონეზე პროგრამაზე სწავლების ენას, რაც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ზემოაღნიშნულ გარემოებათა შეფასება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების: 2.1, 3.3, 5.1 და 5.2 კომპონენტებთან მიმართებით.

ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში და მეორე სამუშაო დღის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, საგამოცდო ნაშრომების შენახვის ვადა განისაზღვროს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72ბრძანების შესაბამისად.

რჩევები

- სადოქტორო ნაშრომის ერთჯერადად შეფასების საკითხთან მიმართებით „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ და სადოქტორო პროგრამის შესაბამის ჩანაწერში დაფიქსირდა რედაქციული ხასიათის განსხვავება. სასურველია, შეფასების წესის შინაარსი და რედაქცია „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ და თავად სადოქტორო პროგრამაში ზუსტად შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

საუკეთესო პრაქტიკა


დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
1. უსდ-ისმისიადასტრატეგიულიგანვითარება		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ისმისია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიულიგანვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. უსდ-ისორგანიზაციულისტრუქტურადამართვა		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციულისტრუქტურადამართვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხისუზრუნველყოფისშიდამექანიზმები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისადაკეთილსინდისიერებისპრინციპებისდაცვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. საგანმანათლებლოპროგრამები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლოპროგრამებისშემუშავებადაგანვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლისშედეგებისშეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. უსდ-ისპერსონალი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალისმართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიეროდამოწვეულიპერსონალისდატვირთვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სტუდენტებიდამათიმხარდაჭერისლონისძიებები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტისსტატუსისმოპოვების, ცვლილებისადაგანათლებისალიარებისწესიდასტუდენტთაუფლებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთამხარდაჭერისლონისძიებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. კვლევა, განვითარებაან/დასხვაშემოქმედებითისაქმიანობა		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ნინო ლაღანიძე(თავმჯდომარე)



2. ლევან მილოდაშვილი (წევრი)



3. გიორგი მახარობლიშვილი (წევრი)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

<p>2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
<p>აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:</p> <p>მონიტორინგის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სასწავლო პროცესის წარმართვის შემოწმება სტუდენტის ჩარიცხვის მომენტიდან კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ეტაპის ჩათვლით, მათ შორის, უნივერსიტეტის საქმისწარმოების სისტემის ეფექტურობის კუთხით. შედეგად შეხვედრები უნივერსიტეტის იურიდიული და მონიტორინგის სამსახურების წარმომადგენლებთან. შესწავლილ იქნა უცხოელ სტუდენტთა ჩარიცხვის და მათთვის კვალიფიკაციის მინიჭების მარეგულირებელი დოკუმენტაცია და ფაქტობრივი გარემოებები. ინტერვიუების მსვლელობისას მიღებული ინფორმაციით არ იქნა აღმოჩენილი რაიმე სახის სამართლებრივი ან სხვა სახის დარღვევა ჩარიცხვის ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებით.</p> <p>სტუდენტის შეფასების პროცესის და შედეგების შემოწმების, ასევე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების გადამოწმების მიზნით ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა: არქივის წარმოების დებულება, რომელიც დაკავშირებულია დაწესებულების მიერ შენახვადაქვემდებარებული დოკუმენტების შენახვის, განკარგვის, ვადებისა და განადგურების პროცედურებთან და აღნიშნული სტუდენტების მიერ უკანასკნელ სემესტრში შესრულებული წერიტი საგამოცდო ნაშრომები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით, არქივის წარმოების წესის მიხედვით, მოთხოვნილი ნაშრომების როგორც დროებით შენახვას დაქვემდებარებული დოკუმენტაციის შენახვის ვადა არის 6 თვე. აღნიშნული გარემოება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანებასთან „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მართველობითი დოკუმენტების უსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“, რომლის 387¹ მუხლის თანახმად, წერილობითი საგამოცდო სამუშაოების შენახვის ვადა დროებითი, თუმცა 3 წლის ვადით არის განსაზღვრული, ხოლო 3 წლიანი ვადის ათვლა იწყება შეფასების გასაჩივრების ვადის გასვლის შემდგომ. შესაბამისად, ვერ მოხერხდა სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასებისა და გაზომვის დამადასტურებელი</p>

დოკუმენტების გადამოწმება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესი ამ პუნქტში არ შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
 „არქივის წარმოების დებულება“;
 ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;

რეკომენდაციები:
 რეკომენდებულია, საგამოცდო ნაშრომების შენახვის ვადა განისაზღვროს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72ბრძანების შესაბამისად.

რჩევები:

შეფასება:
 მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუმჯობესების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
 მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შემოწმება. ამ მიზნით შემოწმდა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და ის, თუ რამდენად არის ის მორგებული თითოეული საგანმანათლებლო დარგის სპეციფიკას. ექსპერტთა მოსაზრებით შეფასების სისტემა მთლიანობაში დარგის მოთხოვნების გათვალისწინებითაა განსაზღვრული, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს. შეფასების სისტემის კომპონენტები და შეფასების მეთოდები შერჩეულია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და საშუალებას იძლევა გაიზომოს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტში

მოქმედი ელექტრონული სისტემის GONI მეშვეობით სასწავლო კურსების სილაბუსები და მათში მოცემული შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები ადვილად ხელმისაწვდომია და ინტერესებული მხარეებისთვის, რაც დადასტურდა ვიზიტის პერიოდში უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან (მათ შორის, უცხოელ სტუდენტებთან) ინტერვიუების ჩატარების დროს მიღებული ინფორმაციით. გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და მათი გაუმჯობესების თვალსაზრისით. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მათთვის ცნობილია შეფასების სისტემასთან დაკავშირებული მოქმედი რეგულაციები და ასევე, გასაჩივრების პროცესთან დაკავშირებული პროცედურები. შეფასების სისტემით მთლიანობაში უზრუნველყოფილია თანასწორი და სამართლიანი მიდგომები.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა, მონიტორინგის დანიშვნის საფუძვლის გათვალისწინებით, დამატებით გამოითხოვა „მაგისტრატურის დებულება“ და „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის შეფასების წესი“, ასევე სამართლის სადოქტორო პროგრამა. სადოქტორო ნაშრომის ერთჯერადად შეფასების საკითხთან მიმართებით „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ და სადოქტორო პროგრამის შესაბამის ჩანაწერში დაფიქსირდა რედაქციული ხასიათის განსხვავება. სასურველია, შეფასების წესის შინაარსი და რედაქცია „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ და თავად სადოქტორო პროგრამაში ზუსტად შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- „მაგისტრატურის დებულება“;
- „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი“;
- „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“;
- სამართლის სადოქტორო პროგრამა;
- „ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან“;

რეკომენდაციები:

რჩევები:

სადოქტორო ნაშრომის ერთჯერადად შეფასების საკითხთან მიმართებით „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ და სადოქტორო პროგრამის შესაბამის ჩანაწერში დაფიქსირდა რედაქციული ხასიათის განსხვავება. სასურველია, შეფასების წესის შინაარსი და რედაქცია „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ და თავად სადოქტორო პროგრამაში ზუსტად შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტისათვის საჭირო ყველა რეგულაცია; ისინი ხელმისაწვდომი, გამჭვირვალე და სამართლიანია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სტუდენტთა (მათ შორის, უცხოელ სტუდენტთა) ჩარიცხვისა და კვალიფიკაციის მინიჭების მოქმედი რეგულაციები და დადგინდა, რომ ისინი ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია.

მონიტორინგის ვიზიტის მიმდინარეობისას გაიმართა ინტერვიუები სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებთან. მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან იღებენ ადმინისტრაციულ და აკადემიურ მხარდაჭერას და იცნობენ სტუდენტთა უფლებებს. უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სტუდენტებმა იცნო, რომ მათ შეუძლიათ გაასაჩივრონ ნებისმიერი საკითხი, მათ შორის შეფასება და მიიღონ პასუხი კსუ-საგან.

ინტერვიუზე გამოიკვეთა პრობლემა ერთ-ერთ უცხოელ სტუდენტთან დაკავშირებით, რომელიც თავდაპირველად სწავლობდა რუსულენოვან პროგრამაზე, ხოლო პროგრამის დახურვის შემდეგ გადაყვანილ იქნა ინგლისურენოვან პროგრამაზე, თუმცა სათანადოდ არ ფლობდა ინგლისურ ენას. აღსანიშნავია, რომ პროგრამას სტუდენტის ჩარიცხვის მომენტში არ გააჩნდა წინაპირობა - ინგლისური ენის ცოდნა B II დონე. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განცხადებით, სტუდენტი ინფორმირებული იყო, რომ სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი მას სთავაზობდა ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისა და სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა;

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:
მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ქართულ და ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი ინფორმირებული არიან იმ დახმარების თაობაზე, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს მათ, კერძოდ, სტუდენტები სათანადო მხარდაჭერას იღებენ როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, ასევე საორგანიზაციო საკითხებში. უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები კვალიფიციურად ეხმარებიან მათ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით.

საუნივერსიტეტო ელექტრონული სისტემა GONI ეფექტურად ეხმარება მათ ინფორმაციის მიღებაში. სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე სტუდენტები იღებენ ინფორმაციას აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ჩასატარებელი კონსულტაციების თაობაზე. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ასევე, მისი დასრულების შემდეგ. აქტიურად მუშაობს კარიერული განვითარების ოფისი, რომელიც ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს არსებული ვაკანსიების შესახებ. უნივერსიტეტი ეხმარება მათ სხვადასხვა სახის დოკუმენტების შედგენაში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური ინტერესების შესაბამისი კლუბები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
ინტერვიუები უნივერსიტეტის სტუდენტებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან